

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი
და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული
ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის
კათედრა – ესპანური ენისა და ლიტერატურის მიმართულება

**ქართულ-ბასკური ურთიერთობებისადმი
მიძღვნილი სამეცნიერო**

კონფერენცია



თეზისები
23 დეკემბერი
თბილისი
2022

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ასოც. პროფესორი მარინა კობეშავიძე

დოქტორანტი ირინა ნოზაძე

სტუდენტი ნათია ყიფიანი

სტუდენტი ქეთევან რევიანდაშვილი

რეგლამენტი:

მოსვენება სხდომაზე – 20 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

ბასკური 3-დღიანი კვირის მიკროსისტემიდან 7-დღიან სისტემამდე

From the Three Days Micro-System to the Seven Days System of the Week in Basque Language

მედეა ლლონტი
Medea Ghlonti

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: კალენდარი, ტიპოლოგია, ტერმინოლოგია,
სინონიმია, ომონიმია

Keywords: Calendar, Typology, Terminology, Synonymous, Homonymous

ბასკური კვირის ტერმინოლოგია ბასკური ენის კალენდარული ლექსიკის ის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც საჭიროებს საკვლევო მასალის კომპლექსურ შესწავლას – როგორც შვიდდღიანი კვირის სისტემის ფორმირების, ისე მის ცალკეულ დღეთა სახელებების სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კვლევის მიმართულებით.

XVIII საუკუნიდან მოკიდებული დღემდე, არაერთი მკვლევარი ეცადა, სათანადოდ წარმოეჩინა ბასკური კვირის ლექსიკის საანალიზო მასალის მრავალგვაროვნება (200-მდე ლექსიკური ერთეული) და სარწმუნოდ გადაეჭრა თავდაპირველი ბასკური კვირის ისტორიული ფორმირების პრობლემა (მაგ.: პ. პ. დე ასტარლოს ბასკური სამდღიანი კვირის „ლუნარული თეორია“, ხ. გოროსტიას ლათინურ-რომანულ-ებრაული „ნარევი“ შვიდეულის კალკირების თეორია და სხვ.).

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საგულისხმოდ გააქტიურდა ბასკური კვირის დღეთა სახელდების წარმომავლობის პრობლემა, რასაც ხელმძღვანელობდა არნოლდ ჩიქობავას მიერ პეტერბურგიდან (ყოფილი ლენინგრადიდან) საქართველოში მოწვეული ღვანლმოსილი ბასკოლოგი და ქართველოლოგი – **იური ვლადიმერის ძე ზიცარი**. მის მიერ შემოთავაზებული **ტრანსფორმაციულ-რომანული თეორიის** მომარჯვებით გადაისინჯა ამ პრობლემასთან დაკავშირებული ადრინდელი დასკვნები, კერძოდ:

ა) პ. პ. დე ასტარლოს მიერ „ლუნარულ თეორიაში“ წარმოდგენილი ბასკური კვირის თავდაპირველი სამდღიანი ბასკური კვირის დიალექტური პარადიგმა ი. ზიცარის მიერ სამართლიანად განისაზღვრა, ვითარცა დროის ათვლის დამოუკიდებელი „ჩაკეტილი კალენდარული სისტემა“, მისი სავარაუდო მე-4 ცენტრალური დღით: შდრ. ბასკ.: **I. Aste-len** „დღე-პირველი [კვირისა]“ -> „ორშაბათი“, **II. Aste-arte** „დღე-შუა [კვირისა]“ -> „სამშაბათი“, **III. Aste-azken** „დღე-ბოლო [კვირისა]“ -> „ოთხშაბათი“, **IV. *Aste** „ცენტრალური დღე [კვირისა]“ -> „დასვენების დღე“;

ბ) ლათინურ-პლანეტარული და ებრაული შვიდდღიანი კვირის პარადიგმებში არსებულ ტიპოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე, განიხილება თავდაპირველი 3+1-დღიანი ბასკური კვირის ტრანსფორმირება 7-დღიან კვირად, სადაც ჩაკეტილი ბასკური 3-დღიანი კვირის მიკროსისტემა შეენილია, ვითარცა „სისტემა სისტემაში“.

მოხსენებაში ასევე განიხილება ბასკური კვირის ტერმინოლოგიაში დაფიქსირებული რამდენიმე დიალექტური რელიქტის **სინონიმურობისა** და **ომონიმურობის** საკითხი (მაგ.: „პარასკევისა“ და „შაბათის“ ბასკური დიალექტური სახელდებანი).

გამოყენებული ლიტერატურა:

Зыцарь Ю. В. (1984). Реконструкции в области баскской календарной лексики (Введение и раздел I), Извещения Академии Наук Грузинской ССР, Серия Языка и Литературы, 2, 145-159, Тбилиси: Издательство “Мецნიერება” (Индекс 76198).

The Basque terminology associated with the week days is the most important part of the Basque calendar vocabulary which requires complex study of the research material taking into consideration the ways of the seven-days week terminology formation as well as semantical-etymological study of nomination of the separate days of week.

Beginning from the XVIII century till nowadays, many researchers tried to represent duly the diversity of the Basque lexis related to the week-days nomination as the material for researching (about 200 lexical units) and thus to solve trustworthily the problem of the initial historical formation of the week days nomination in Basque (e.g.,

the paradigmatic “lunar theory” of the three-days week in Basque by P.P. de Astarloa; the theory of making calques of the Latin-Roman-Jewish “mix” seven days week by Kh. Gorostiaga and etc.).

The problem of the origin of the week days nomination in the Basque language appeared more actively in the 70-ies and 80-ies of the last century. The investigations were led by Yuri Zitsar, the well-known specialist in the field of investigation of the Basque language and also the well-known specialist of the Kartvelian languages, who was invited to Georgia by Arnold Chikobava. His research was based on the transformative-Roman theory, suggested just by him, the earlier conclusions associated with the problems named above were regarded in details, namely:

a) P.P. de Astarloa represented the initial dialectical three-days weekly paradigm in his work “The lunar theory” which was fairly defined by I. Zitsar as independent “locked calendar system” of time counting,” with its probable central day which really is fourth day, comp. Basque: I. Aste-len “first-day (of a week)” -> “Monday”, II. Aste-arte “middle-day (of a week)” -> “Tuesday”, III. Aste-azken “last-day (of a week)” -> “Wednesday”, IV. *Aste “central day [of a week)” -> “the rest day”);

b) Basing on the typological data of the seven-day Latin-planetary and Jewish week paradigms, the transformation of the original Basque week (3+1 days) into a seven-day week which is discussed, taking into account that the 3+1 terminological microsystem is preserved as “System within System”.

In the report also is discusses the issue of the synonymy and homonymy of several dialectal relicts recorded in the terminology of the basque week ((for example, Basque dialectical names of the days “Friday” and “Saturday”).

References:

Зыцарь Ю. В. (1984). Реконструкции в области баскской календарной лексики (Введение и раздел I), Изаестия Академии Наук Грузинской ССР, серия языка и литературы, 2, 145-159, Тбилиси: Издательство «Мецниереба» (Index 76198).

**ბასკური ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვების
შესწავლისათვის
On Historical Roots of Basque Magic Tales**

**მერი ხუხუნაიშვილი-ნიკლაური
Mary Khukhunaishvili-Tsiklauri**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ფოლკლორის განყოფილება
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Folklore Department**

საკვანძო სიტყვები: ბასკური ზღაპრები, ინიციაცია, მატრიარქალური
საზოგადოება

Keywords: Basque Tales, Initiation, Matriarchal Society

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერება, ჯადოსნური ზღაპრების ჩათვლით, ეროვნული იდენტობის წარმოსაჩენად გაცილებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ვიდრე – წერილობითი ტექსტი. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია იბერიის ნახევარკუნძულის არაინდოევროპული მოდემის უძველესი მოსახლეობის – ბასკების ფოლკლორის შესწავლა, კერძოდ, ბასკური ჯადოსნური ზღაპრის, რომელშიც საზოგადოების განვითარების უძველესი საფეხურების კვალია შემორჩენილი. მიგელ დე ბარანდიარან აიერბიმ (1889-1991), ცნობილმა ბასკმა ანთროპოლოგმა, არქეოლოგმა, ეთნოგრაფმა, ფოლკლორისტმა და სასულიერო პირმა მთელი ცხოვრება შეაღია ბასკების მითოლოგიის, ფოლკლორისა და ტრადიციების შესწავლას. ჩვენი საკვლევით ტექსტებიც მიგელ დე ბარანდიარანის მიერ 1962 წელს ესპანურ-ბასკური ენებზე გამოცემული სამტომეულიდანაა („სამყარო ბასკი ხალხის წარმოდგენაში“) შერჩეული.

ზღაპარი უნივერსალური ფენომენია და, რა თქმა უნდა, ბასკურიც, თუმცა ზოგიერთ ბასკური ჯადოსნური ზღაპრის მოტივს ზღაპრის მოტივთა საერთაშორისო საძიებელში პარალელები არ ეძებნება. სწორედ ამ ტიპის ზღაპრები წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს. პირველი ჯგუფი „კონკიას“ ზღაპარია. განსხვავებით ტრადიციული გერ-დედინაცვლის მოტივისაგან, ბასკური „კონკია“ და მისი ვერსია დედისა და უმცროსი ქალიშვილის დაპირისპირებაზეა აგებული. ჩვენი აზრით, დედისა და უმცროსი ქალიშვილის კონფლიქტი მატრიარქატის ეპოქის დროინდელი მინორატის კრიზისის ხსოვნას ინახავს, როცა უმცროსი ქალიშვილი კარგავდა დედის მემკვიდრის უფლებას, მათ შორის, კერის ცეცხლის კულტმსახურებაც იგულისხმებოდა. საყურადღებოა, რომ მატრიარქალური მინორატის კრიზისის კვალი სხვა კუთხითაც არის ზოგადად შემორჩენილი ჯადოსნურ ზღაპრებში. კერძოდ, უფროსი დებისგან დევნილი უმცროსი დის მოტივის სახით.

ჯადოსნური ზღაპრების მეორე ტიპი „ბენიარდო“ და მისი ვარიანტი „პეპიტო“ გადმოგვცემს დედის მიერ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ვაჟიშვილის მკვლელობას, დის მიერ მოკლული ძმის ძვლების დამარხვისა და ძმის გაცოცხლების ამბავს. ამ მოტივის ჯადოსნური ზღაპრები ინიციაციის უძველესი რიტუალის დესაკრალიზაციის შედეგადაა შექმნილი თავისი მარტივი სტრუქტურით, სადაც თავისებურად აისახა მთავარი გმირის გამოცდა-განსაცდელი: სიმბოლური სიკვდილი და აღორძინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარდაველიძე, ვ. (2006). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბილისი: „კავკასიური სახლი“. ISBN 99928-71-87-3.

ჩოლოყაშვილი, რ. (2009). ზღაპარი და სინამდვილე. თბილისი: „ნეკერი“. ISBN 978-9941-404-49-8.

ხიდაშელი, მ. (2010). საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბილისი: „საარი“. ISBN 978-9941-427-04-6.

Barandiaran, J. M. (1962). El Mundo en la Mente Popular Vaska. V. III. San Sebastian: “Aunamendi“.

Oral traditions including magic tales constitute a more important source for national identity than letter written sources. Basques being indigenous people around the western end of Pyrenees and speaking the language isolate not belonging to any existing language system have unique mythology and folklore. Hence the object of our investigation is a Basque magic tale preserving ancient layers of the Matriarchal society. The texts were published in the Basque folklore collection by Jose Miguel Barandiaran Aierbe (1889-1991) in the Spanish-Basque languages.

It is well-known that a folk tale is universal phenomenon. The Basque folktales are also analogous to the international folktales, though some Basque tales of magic don't have parallel motifs in the classification of the types of International Folktales that make them the subject of research.

The first group of the folktales under our investigation represent two versions of “Cinderella”, a story of a girl mistreated by her mother and elder sister. Second one, two versions of the motif – mother killing the son without any reason and the sister reviving him. The motif of Cinderella was created in the period of matriarchy, at the stage of the crisis of the matriarchal minorate, when younger daughter was losing her hereditary rights in the family and her role in the hearth cult. The story of “Beniardo” and its version “Pepito” preserved the trace of the ritual of initiation of a young man for admitting him into the society of men. Thus the motif of ritual origin in the magic tale was newly interpreted.

References:

- Bardavelidze, V.** (2006). Kartvelta Udzelesi Sartsmunoebis Istoriidan, Ghvtaeba Barbar-Babar. [From the History of Ancient Beliefs of the Georgians, Divinity Barbar-Babar]. Tbilisi: “Caucasian House”. ISBN 99928-71-87-3.
- Barandiaran, J. M.** (1962). El Mundo en La Mente Popular Vasca. V. III. [The World in Basque Folk Imagination. V. III]. San Sebastian: “Aunamendi”].
- Choloqashvili, R.** (2009). Zghapari da Sinamdville [Fairy Tale and Reality]. Tbilisi: “Nekeri”. ISBN 978-9941-404-49-8.
- Khidasheli, M.** (2010). Sakartvelos Dzveli Kulturis Sakitkhebi. [Some Issues of Georgian Archaic Culture]. Tbilisi: “Saari”. ISBN 978-9941-427-04-6.

ესპანეთის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე The Spanish Question at the Potsdam Conference

თეიმურაზ პაპასქირი
Teimuraz Papaskiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ესპანეთი, პოტსდამის კონფერენცია, სტალინი,
ტრუმენი, ჩერჩილი, ფრანკო

Keywords: Spain, Potsdam Conference, Stalin, Truman, Churchill, Franco

„დიდი სამეულის“ მესამე კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17-31 ივლისს გაიმართა პოტსდამში, ბერლინის მახლობლად, სსრკ-ს ლიდერმა იოსებ სტალინმა, აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრებმა —უინსტონ ჩერჩილმა და კლემენტ ეტლიმ, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, გარკვეული დრო დაუთმეს ესპანეთის საკითხსაც. ამის ინიციატორი სტალინი გახლდათ. მართალია, ის მოითხოვდა, რომ ესპანეთის საკითხი საერთოდ ცალკე შესულიყო დღის წესრიგში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის განხილულ იქნა განთავისუფლებული ევროპის ქვეყნებისა და გერმანიის ყოფილი მოკავშირეების (მართალია, ესპანეთი ფორმალურად არ იყო გერმანიის მოკავშირე, მაგრამ ის „ღერძის“ ქვეყნების თანამოაზრედ მიიჩნეოდა) მიმართ გასატარებელ ღონისძიებებთან ერთად. გარდა ამისა, გარკვეულწილად ესპანეთთან შეხება ჰქონდა ტანჟერის საკითხსაც, რომელზეც კონფერენციის მსვლელობის დროს „დიდი სამეულის“ ლიდერებს ასევე ჰქონდათ გარკვეული კონსულტაციები.

ესპანეთის საკითხს პირველად მხარეები 19 ივლისს შეეხნენ. სსრ კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა თავისი წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა მოკავშირეთა მხრიდან ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტასა და ესპანელი ხალხისათვის დახმარების გაწევას, რათა ამ ქვეყანაში მოსულიყო დემოკრატიული მთავრობა. როგორც შეხვედრის მსვლელობიდან

გაირკვა, ეს სულაც არ შედიოდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებში. ჩერჩილსა და სტალინს შორის გაიმართა საკმაოდ მწვავე პოლემიკა. თავის მხრივ, ტრუმენმა, რომელიც მაინცდამაინც არ იყო ამ საკითხით დაინტერესებული, განაცხადა, რომ ის ვერ იტანდა ფრანკოს, მაგრამ ხაზი გაუსვა ამ პრობლემის თავად ესპანელების მიერ გადაწყვეტის აუცილებლობას.

ამის შემდეგ, ესპანეთის საკითხზე ძირითადად ვიაჩესლავ მოლოტოვი (სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი), ჯეიმს ბირნსი (აშშ-ს სახელმწიფო მდივანი), ენტონი იდენი და ერნესტ ბევინი (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნები) მსჯელობდნენ. ვინაიდან ძირითად საკითხად ესპანეთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განევრიანება იქცა, დიდი ვნებათაღელვა ამჯერად უკვე არ ყოფილა. მხარეები საკმაოდ სწრაფად შეთანხმდნენ, რომ ესპანეთის ხელისუფლება არანაირად არ აკმაყოფილებდა გაეროს წესდების მუხლებს და არ იმსახურებდა მასში განევრიანებას. რაც შეეხება ტანჟერის საკითხს, მიუხედავად საბჭოთა მხარის მოთხოვნისა, რომ ის გადაწყვეტილიყო ესპანეთის გარეშე, მისი განხილვა გადაიდო კონფერენციის შემდგომი პერიოდისთვის. ამასთან, ბრიტანელების მოთხოვნით, იქ უნდა გათვალისწინებულიყო ესპანეთის ინტერესებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

პაპასქირი, თეიმურაზ (2010). „დიდი სამეულის“ კონფერენციები: თეირანი, იალტა, პოტსდამი. თბილისი: „მერიდიანი“

FRUS (1960). *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conference of Berlin (The Potsdam Conference), 1945.* In 2 vols. Washington, U.S. Government Printing Office

Sarantakes, Nicholas Evan (2009). *The Allies against the Rising Sun: The United States, the British Nations, and the Defeat of Imperial Japan.* University Press of Kansas

Truman, Harry S. (1955) *Memoirs.* Vol. 1. *Year of Decisions.* Garden City, NY: Doubleday

Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945г.) (1980). Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. VI. Сборник документов. Москва

Сагомонян А. Я. (2008). *Советский Союз и испанский вопрос. 1944-1945 годы. По новым архивным материалам. Новая и Новейшая История, №2, 57-71*

During the third conference of the “Big Three,” which was held in Potsdam, near Berlin, from 17 to 31 July of 1945, the Soviet leader Joseph Stalin, the U.S. President Harry S. Truman, and the Prime Ministers of Great Britain, Winston S. Churchill and Clement Attlee, among other issues, paid some attention to the Spanish Question too. The initiative was coming from J. Stalin, who demanded to make it a separate item in the agenda. Nevertheless, the issue of Spain was discussed along with the questions of the

liberated countries and the former German allies. (Although Spain was not formally a German ally, it was considered to be in accord with the “Axis” countries.) Besides, there were some consultations on the issue of Tangier, which was connected with Spain too. The Spanish question was first discussed on 19 July. The Soviet delegation presented its proposal regarding the breaking off the diplomatic relations with Spain and helping the Spanish people in establishing the democratic government in country. As it turned out during the meeting, this proposal did not coincide with the British interests. There was a polemic between Stalin and Churchill. Meanwhile, Truman, who was not really interested in this question, stated that he had no love for Franco, but it had to be settled by the Spaniards themselves.

Afterwards the Spanish Question was mainly discussed by Vyacheslav Molotov, the Soviet Minister of Foreign Affairs, James Byrnes, the U.S. Secretary of State, and Anthony Eden and Ernest Bevin, the Secretaries for Foreign Affairs of Great Britain. Because they usually talked about Spain’s admission to the United Nations, the discussion was brief. The parties quickly agreed that Spain did not satisfy the requirements of the U.N. Statute and had no right to become a member of the U.N. As for the question of Tangier, despite the Soviet demand that it should be solved without Spain, the parties decided to postpone its discussion for the better times. They also agreed to the British proposal that Spain’s interests should be taken into account.

References:

Papaskiri, Teimuraz (2010). “didi sameulis” konferenciebi (teirani, ialta, potsdami) [“Big Three” Conferences (Tehran, Ialta, Potsdam)], Tbilisi: Meridiani Publishing House (in Georgian with English and Russian summaries)

FRUS (1960). Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conference of Berlin (The Potsdam Conference), 1945. In 2 vols. Washington, U.S. Government Printing Office

Sarantakes, Nicholas Evan (2009). The Allies against the Rising Sun: The United States, the British Nations, and the Defeat of Imperial Japan. University Press of Kansas

Truman, Harry S. (1955) Memoirs. Vol. 1. Year of Decisions. Garden City, NY: Doubleday
Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945г.) (1980). Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. VI. Сборник документов. Москва

Сагомоян А. Я. (2008). Советский Союз и испанский вопрос. 1944-1945 годы. По новым архивным материалам. Новая и Новейшая История, №2, 57-71

ესპანური ენის სწავლების ისტორიული ასპექტები საქართველოში Historical Aspects of Spanish Language Teaching in Georgia

ქეთევან ხუსკივაძე
Ketevan Khuskivadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ესპანური ენა, სერვანტესის ინსტიტუტი, „ომის ბავშვები“, ესპანური საქართველოში

Keywords: Spanish Language, Cervantes Institute, “Children of War”, Spanish Language Teaching in Georgia

კულტურა, პოლიტიკა, ეკონომიკა და მიგრაცია ის მთავარი ფაქტორებია, რაც უცხოური ენის ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს. ესპანური ენა უცხოური ენების შემსწავლელთათვის ყოველთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ენად აღიქმებოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სერვანტესის ინსტიტუტის კვლევების შედეგები, რომლებიც ესპანური ენის გავრცელებასა და მის მნიშვნელობას ასახავს: 493 მილიონი ადამიანისთვის ესპანური, იგივე კასტილიური, მშობლიურ ენას წარმოადგენს და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს; 591 მილიონი ადამიანი ფლობს ესპანურ ენას, როგორც ენის მატარებლის, ასევე შემსწავლელის დონეზე; ესპანური არის მესამე ყველაზე ხშირად გამოყენებული ენა ონლაინ სივრცეში.

საქართველოში ესპანური ენის სწავლების დასაწყისი საბჭოთა კავშირს უკავშირდება. 1936-1939 წლებში სტალინის მიერ გაგზავნილ ორიათასკაციან რაზმში, რომლის გაცხადებული მიზანი ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელების დახმარება გახლდათ, იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც. სამოქალაქო ომი დასრულდა გენერალ ფრანკოს გამარჯვებით. შედეგად, ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში ლტოლვილებად გადმოდიან რესპუბლიკელთა ოჯახის წევრები და შვილები, რომლებსაც მოგვიანებით „ომის ბავშვებს“ უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ცხოვრება საქართველოში გააგრძელა, ამ ფაქტს ჩვენს ქვეყანაში ესპანური ენის გავრცელება და პოპულარიზაცია არ მოჰყოლია. მოგვიანებით, 60-იანი წლების

ბოლოს, კუბის რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა კავშირს უჩნდება ამბიცია, დანარჩენი ლათინოამერიკული ქვეყნები საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს. სწორედ ამ პერიოდში, მოსკოვის ბრძანებით, ესპანური ენის სწავლება იწყება იმდროინდელ უცხო ენათა ინსტიტუტში და მოგვიანებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ესპანური ენის სწავლების მეთოდები პასუხობდა იმხანად საბჭოთა კავშირში აპრობირებულ უცხოურ ენათა სწავლების სტანდარტს, რაც ენის გრამატიკულ-მთარგმნელობით ან, უკეთეს შემთხვევაში, აუდიოლინგვალურ მეთოდს გულისხმობდა. ასეთ მეთოდურ მიდგომას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ პედაგოგებს განათლება ხშირ შემთხვევაში რუსეთში ჰქონდათ მიღებული. სწავლების ეს ფორმა შენარჩუნებული გახლდათ 90-იანი წლების ბოლომდე. ამ მიმართულებით გარდამტეხი აღმოჩნდა უკვე დამოუკიდებელ საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ქვეყანაში საგანმანათლებლო მიზნით ჩამოდიან ესპანელი მასწავლებლები. ამის პარალელურად, ესპანური ენის სტუდენტებსა და ლექტორებს დაენიშნათ ესპანეთში სასწავლო სტიპენდიები. სწორედ ამ პერიოდიდან ენის სწავლებაში ჩნდება საკომუნიკაციო მიზნები და მიდგომები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ხუსკივაძე, ქ. (2019). ესპანური ენის სწავლების საკითხები (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე).

სადოქტორო ნაშრომი.

Gascó Gavilán, I. Gvelesiani, A. Khuskivadze, K. (2017). Enseñar español en Georgia. En M. C.Méndez Santos y M. M. Galindo Merino (Eds.). Atlas del ELE. Geo lingüística de la enseñanza del español en el mundo. Volumen I. Europa oriental (pp. 203-223). Madrid:En ClaveELE.

Gvelesiani, A. Khuskivadze, K.(2019). Modern Approaches to Spanish Language Teaching, Blended Learning. International Journal of Multilingual Education.

Gvelesiani, A. Khuskivadze, K. (2020). La enseñanza de ELE en Georgia. Informes de ELE en el mundo Boletín de ASELE 62.

Instituto Cervantes .(2021). Español lengua viva. https://cvc.cervantes.es/lengua/espanol_lengua_viva/pdf/espanol_lengua_viva_2021.pdf

Culture, politics, economy and migration are the main factors that contribute to the wide spread of a foreign language. Spanish language has always been perceived as one of the most attractive languages for foreign language learners. From this point of view, the studies of the Cervantes Institute, reflect the spread of Spanish language and its importance: Spanish, also known as Castilian, is the mother tongue for 493 million

people, the second language in the world; 591 million people speak Spanish at both native and learner levels; Spanish is the third most used language online. The beginning of teaching of the Spanish language in Georgia is connected to the Soviet Union. In 1936-1939, Georgian warriors also fought in the 2,000-man detachment sent by Stalin, whose main goal was to help the Republicans in the Spanish Civil War. The civil war ended with the victory of General Franco, and as a result, Republican family members and children later called “children of the war”, migrated from Spain to the Soviet Union as refugees. Some of them continued to live in Georgia, but this fact did not lead to spread and popularization of Spanish language in our country. Later, at the end of the 60s, after the Cuban revolution, the Soviet Union had ambition to bring the rest of the Latin American countries under its influence. It was during this period, by the order of Moscow, that the teaching of the Spanish language began at the Institute of Foreign Languages and later at Ivane Javakhsishvili Tbilisi State University. The methods of teaching Spanish language corresponded to the standard of teaching foreign languages tested in the Soviet Union at that time, which meant the grammar-translation method or, in the best case, the audio-lingual method. Such methodical attitude was supported by the fact that the teachers had received their education in Russia in most cases. This form of teaching was maintained until the end of the 90s. The agreement signed between already independent Georgia and the Ministry of Foreign Affairs of the Kingdom of Spain, within the framework of which Spanish teachers come to the country for educational purposes, turned out to be a turning point in this direction. At the same time, Spanish language students and lecturers were awarded study scholarships in Spain. It is from this period that communicative goals and approaches appear in language teaching.

References:

- Gascó Gavilán, I. Gvelesiani, A. Khuskivadze, K.** (2017). Enseñar español en Georgia. En M. C.Méndez Santos y M. M. Galindo Merino (Eds.). Atlas del ELE. Geo lingüística de la enseñanza del español en el mundo. Volumen I. Europa oriental (pp. 203-223). Madrid:En ClaveELE.
- Gvelesiani, A. Khuskivadze, K.** (2019). Modern Approaches to Spanish Language Teaching, Blended Learning. International Journal of Multilingual Education.
- Gvelesiani, A. Khuskivadze, K.** (2020). La enseñanza de ELE en Georgia. Informes de ELE en el mundo Boletín de ASELE 62.
- Instituto Cervantes (2021). Español lengua viva. https://cvc.cervantes.es/lengua/espanol_lengua_viva/pdf/espanol_lengua_viva_2021.pdf
- Khuskivadze, K.** (2019). Espanuri enis swavlebis sakitkhebi (Ivane Javakhsishvilis sakhelobis tbilisis sakhelmwifo universitetis magalitze). sadoqtoro nashromi.[Spanish Language Teaching Issues (on the basis of Ivane JavakhsishviliTbilisi State University example)]. Doctoral dissertation.

ბასკეთის საფეხბურთო გუნდის ტურნე საბჭოთა კავშირში 1937 წ.

The Tour of the Basque Football Team in the Soviet Union in 1937

ზაალ გოგენია
Zaal Gogenia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბასკეთის საფეხბურთო გუნდი, ტურნე, საბჭოთა
კავშირი

Keywords: Basque Football Team, Tour, Soviet Union

ბასკების საფეხბურთო გუნდის (ნაკრები) შექმნა და მისი პროპაგანდისტული ტურნე ევროპაში, სსრკ-სა და ლათინურ ამერიკაში ესპანეთის სამოქალაქო ომის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

1937 წლის მარტის ბოლოს ფ. ფრანკოს ძალებმა ომის სიმძიმე ჩრდილოეთში გადაიტანეს, მათი პირველი მიზანი იყო ბასკეთი. ესპანეთის რესპუბლიკის მესვეურები ჩრდილოეთის ფრონტს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, შესაბამისად აქ იარაღის, საბრძოლო მასალისა და სურსათის კატასტროფული სიმცირე იყო. ბასკეთის მთავრობის მეთაური ხოსე ანტონიო აგირრე საზღვარგარეთ პროპაგანდას ანარმოებდა, მათ შორის, სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში განიხილება ბასკეთის „ნაკრების“ ჩამოყალიბების ისტორია. „ჩვენ უნდა დიდი სარგებელი მივიღოთ ამ ექსპედიციიდან როგორც ეკონომიკური კუთხით, ისე სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით“ – წერდა გაზეთი “La Tarde”. გუნდს ოფიციალურად ბასკეთის ნაკრები არ დარქმევია, პრომოუტერები შიშობდნენ, ფიფა მას ამ სახელით საზღვარგარეთ თამაშს აუკრძალავდა. გუნდის ხერხემალი იყო ბილბაოს ატლეტიკო სხვა გაძლიერებული ფეხბურთელებით. ტურნე მეზობელი საფრანგეთიდან დაიწყო. ბასკების გამარჯვება სპორტულ სფეროში მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით

ის გერნიკას დაბომბვამ დაჩრდილა, იმავე დღეს – 26 აპრილს. ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში დელეგაციის ხელმძღვანელმა მანუელ დე ლა სოტამ განაცხადა, რომ ბასკი ფეხბურთელები არიან ჯარისკაცები, რომლებმაც დროებით დატოვეს სანგრები, სადაც იბრძვიან მშვიდობისა და ძმობისთვის. „ჩვენს ახალგაზრდებს უნდათ აჩვენონ, რომ იბრძვიან თავისუფლებისთვის სპორტის გზით“. ზოგისთვის ეს ბასკური ნაციონალიზმის საჯარო აღიარებას წარმოადგენდა.

მოსკოვში ბასკების პირველი მეტოქე იყო ლოკომოტივი (მწვრთნელი – ფრანგი ჟიულ ლიმბეკი), რომელიც დაამარცხეს ანგარიშით 5:1. ბასკების გუნდის მწვრთნელი პედრო ვალიანა ვერ მალავდა გაოცებას, ამ კლასის ოსტატები რატომ თამაშობდნენ არქაული წესით „ხუთ ხაზზე“, მაშინ, როცა ყველა საერთაშორისო დონის კლუბი დიდი ხანია გადასულიყო „დუბლვეზე“.

27 ივნისს მოსკოვის დინამოსთან დანიშნული მატჩიც ბასკების გამარჯვებით დასრულდა. მოსკოვში ორი მოგების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა შეშფოთებას ვერ მალავდა. ხელმძღვანელობას ორი მარში-რევანშის გამართვა სურდა. თუმცა, დინამოსთან მეორე თამაში დასრულდა 7:4. ამით სტალინის თავმოყვარეობა შეილახა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვის დინამო იყო ნკვდ გუნდი.

საქართველოში ბასკები განსაკუთრებული სითბოთი მიიღეს, ამის მიზეზი მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა არ ყოფილა. დიდი როლი ითამაშა ნიკო მარის პოპულარულმა თეორიამ ბასკებისა და ქართველების ნათესაობის შესახებ. თბილისში გამართული ორივე თამაში პირველად „დინამოსთან“, ხოლო მეორედ საქართველოს ნაკრებთან ბასკების გამარჯვებით დასრულდა.

ჯამში, საბჭოთა კავშირიდან ბასკებმა 100 ათასი ფრანგული ფრანკი წაიღეს, მაგრამ სამშობლოში ისინი ვერ დაბრუნდნენ. პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ბასკების ეს ტურნე მნიშვნელოვანი იყო. ბორის პაიჭაძე ამბობდა: „მაშინ პირველად დავრწმუნდი, თუ რა დიდი ადგილი უკავია ფეხბურთს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არა მგონია, ქვეყანაზე იყოს აგიტაციის სხვა რაიმე ფორმა, რომელსაც ამდენი კეთილმოსურნე და მხარდამჭერი მოეპოვებინა რესპუბლიკური ესპანეთისთვის, როგორც ეს ფეხბურთელთა ამ ტურნემ გააკეთა“.

The creation of the Basque football team and its propaganda tour in Europe, the USSR and Latin America is one of the interesting pages of the history of Spanish Civil War.

At the end of March 1937, Franco's forces shifted the brunt of the war to the north, their first aim was the Basque Country. The heads of the Spanish Republic attached less importance to the northern front, therefore there was a catastrophic shortage of weapons, ammunition and food. The head of the Basque government, José Antonio Aguirre, decided to send a Basque football team abroad with the dual aim of raising money to fund the cost of the civil war, and also as a form of propaganda letting the world know about the conflict in Spain “We should get a lot of benefits from this expedition from point of view of economic, social and international relations” - wrote the newspaper “La Tarde”.

The team was not officially named the national team of the Basque Country, the promoters were afraid that FIFA would ban it from playing abroad with this name. The backbone of the team was Atlético Bilbao reinforced by other players.

The tour started from neighboring France. The Basque victory was significant in sporting terms, but in political terms it was overshadowed by the bombing of Guernica on the same day, 26 April. In his speech at the banquet, the head of the delegation, Manuel de la Sota, said that Basque football players are soldiers who temporarily left the trenches, where they fight for peace and brotherhood. "Our youth wants to show that they are fighting for freedom through sports." For some, it was a public acknowledgment of Basque nationalism.

The first opponent of the Basques in Moscow was Lokomotiv, which was defeated with a score of 5:1. The coach of the Basque team, Vallana, could not hide his surprise that the masters of this class played in an archaic manner on "five lines", while all international level clubs have long since switched to "double W".

The match against Moscow Dinamo on June 27 also ended with the victory of the Basques. After two wins in Moscow, the Soviet leadership could not hide its concern. The leadership wanted to take revenge. But, the second game against Dinamo ended 7:4. This hurt Stalin's self-respect, considering that Dinamo Moscow was a team of NKVD.

In Georgia, the Basques were received with special warmth, the reason for this was not only Georgian hospitality, Nikolai Marr's popular theory about the kinship of the Basques and Georgians played a big role. Both games held in Tbilisi, the first against "Dinamo" and the second against the Georgian national team, ended with the victory of Basques.

In total, the Basques took 100,000 French Franks from the Soviet Union, but they could not return to their homeland. This tour of Basques was important from a propaganda point of view. Boris Paichadze said: "Then I was convinced for the first time how important place football occupies in public life. I don't think there is any other form of agitation in the country that could have gained so many well-wishers and supporters for Republican Spain as this tour of football players did."

ორი იბერიის საკითხისათვის For the Issue of Two Iberias

მარინე კობეშავიძე
Marine Kobeshavidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (რომანული ფილოლოგია-
ესპანური ფილოლოგია)
Faculty of Humanities (Romance Philology-Spanish Philology)

საკვანძო სიტყვები: ბასკური ენა, იბერია, ქართველური ენები, იბერიზაცია
Keywords: Basque Language, Iberia, Kartvelian Languages, Iberianization

ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში ქართლი ცნობილი იყო „იბერიად“. დასავლეთის წყაროებში იგი მოიხსენიება, როგორც „აღმოსავლეთი იბერია“ („Iberia del este“) ან „კავკასიის იბერია“, რათა განასხვავონ ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულის იბერიისგან.

ამ სახელწოდების ზუსტი წარმომავლობა და მნიშვნელობა ნათელი არ არის. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მრავალი მოსაზრება არსებობს, რაზეც საუბრობდნენ ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. 1. საქართველო, 2. ივერია, 3. გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე, და სადა დაეშენა უწოდა სახელითა თვისითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ჯდომილთა მისთა უწოდა საქართველო“, ასევე თეიმურაზ ბატონიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, შოთა ძიძიგური, რომლებიც ცდილობდნენ, ნათელი მოეფინათ ამ საკითხისთვის.

სახელწოდება „იბერები“ პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბერძნულ დოკუმენტებში გვხვდება. თანამედროვე მოსაზრებების მიხედვით, იბერებმა ჩრდილო აფრიკიდან გადმოსახლების შემდეგ, ახლანდელი ესპანეთის, სამხრეთ საფრანგეთის, იტალიის ჩრდილო ნაწილი, კორსიკა, სიცილია და სარდინია დაიკავეს და შექმნეს საკუთარი იმპერია. აღნიშნული პერიოდი ისტორიაში „იბერიზაციის“ სახელით არის შესული – როცა გავრცელდა იბერების კულტურა, ენა, წეს-ჩვეულებები. იბერიზაცია არ შეეხო პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს,

სადაც უძველეს ბასკთა ტომები ცხოვრობდნენ. ბასკები (ვასკონები) უძველეს აქვიტანთა მონათესავე ტომებს ეკუთვნოდნენ, თუმცა ეს კავშირები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. მნიშვნელოვანია ბასკების კულტურა იმით, რომ სწორედ მაშინ, როცა პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობა ლათინურ ენას ითვისებდა (იგულისხმება რომანიზაციის პერიოდი) და ივიწყებდა პირველად ენას, ერთადერთი რეგიონი, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი ენა, სწორედ „ბასკების ქვეყანა“ (País Vasco) იყო.

უკვე მრავალი წლის განმავლობაში ქართველი თუ არაქართველი მეცნიერები იკვლევენ ბასკების წარმოშობას, მათი ენისა და კულტურის თავისებურებებს. ამ პროცესში უამრავი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს, მაგალითად, მთელი რიგი მსგავსებები ქართველურ ენებთან, ასევე მსგავსებებია აღმოჩენილი ტრადიციებსა და ცხოვრების წესშიც.

ჩემს მოხსენებაში შევეცდები, წარმოგიდგინოთ სხვადასხვა მოსაზრება ორი იბერიის საკითხთან დაკავშირებით, თუ რა მსგავსებაა და რა აახლოვებს ამ ორ ქვეყანასა და ენებს, არსებობს თუ არა რეალურად ასეთი სიახლოვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბალუა, ი. (1963, N 8). „ბასკებთან“, «ცისკარი». თბილისი;

ტაბალუა ი. (1979). „ბასკები: ლეგენდები და ფაქტები“. თბ.: საბჭ. საქართველო, **შარდენი ჟან** (1975წ., გვ. 349). „მოგზაურობა ესპანეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ.

ძიდიგური შ. (1978). „ბასკები და ქართველები“. თბ.: საბჭ. საქართველო.

ახვლედიანი ც., მ. კობეშავიძე, (2009). „ესპანური ენის ისტორია“, მედეა, თბილისი.

Celaya G. (1984, გვ. 215). “Trilogia vasca: “Rapsodia euskara”, “Baladas y decires vascos”, “Ixil”, “Diputación Foral de Guipuzcoa., San Sebastián.

Celaya G. (1955 წ. გვ. 96). “Cantos Íberos”, Ediciones Turner, Cantata de Isla Cantata de Mari.

Celaya G. (1990, გვ. 202). “Origenes III”, Obertura, Universidad del País Vasco.

Celaya G. (1978 წ., გვ. 108). “Iberia Sumergida”, Hiperion.

In ancient and Byzantine sources, Kartli was known as “Iberia”. In Western sources it is referred to as “Iberia of the East” (Iberia del este) or “Iberia of the Caucasus” to distinguish it from the peninsula of the same name.

The exact origin and meaning of this name is not clear. There are many opinions around the mentioned issue: what Vakhushti Batonishvili was talking about, who said: “The country is called Samita.” 1. Georgia, 2. Iveria, 3. Giorgia. And Georgia got its name because of Kartlos, which was a part of this country, and where it was built, he called it Kartli, and because of it, it was called Georgia.

The name “Iberians” appears for the first time in Greek documents in the 6th century BC. According to modern opinions, after migrating from North Africa, the Iberians occupied

present Spain, southern France, and the northern part of Italy, Corsica, Sicily and Sardinia and created their own empire. The mentioned period entered into history under the name of "Iberization" - when the culture, language, and customs of the Iberians spread.

Iberianization did not touch the northern part of the Iberian Peninsula, where the ancient Basque tribes lived. The Basques (Vascones) belonged to the related tribes of the ancient Aquitaines, although these connections have not yet been definitively established. The Basque culture is important in the fact that, when the population of the Iberian Peninsula was acquiring the Latin language (referring to the period of Romanization) and forgetting the original language, the only region that preserved its own language was the "Basque Country" (País Vasco).

For many years, Georgian and foreign scientists have been studying the origin of the Basques, the peculiarities of their language and culture. In this process, many interesting facts were discovered, for example, a number of similarities with the Georgian languages, as well as similarities in traditions and lifestyle.

In my report, I will try to present different opinions regarding the issue of the two Iberias, what are the similarities and what brings these two countries and languages closer, whether such proximity actually exists.

References:

- Tabagua, I.** (1963, N 8). Bakebtan ["With the Basques], "Ciskari". Tbilisi.
- Tabagua I.** (1979). ["Basques: legends and facts"] Vol.: buckle Georgia,
- Chardin Jean** (1975, p. 349). Moghzauroba espanetsa da aghmosavletis skhva qveknebshi. ["Travel to Spain and other countries of the East], vol.
- Dzidziguri Sh.** (1978). Baskebi da Qartvelebi. ["Basques and Georgians"] Vol.: buckle Georgia,
- Akhvlediani Ts., M. Kobeshavidze** (2009). Espanuri enis istoria. ["History of the Spanish Language"], Medea, Tbilisi.
- Celaya G.** (1984, 83. 215). "Trilogía vasca: "Rapsodia euskara", "Baladas y decires vascos", "Ixil"; Diputación Foral de Guipuzcoa., San Sebastián.
- Celaya G.** (1955 6. 83. 96). "Cantos Íberos", Ediciones Turner, Cantata de Isla Cantata de Mari.
- Celaya G.** (1990, 83.202). "Origenes III", Obertura, Universidad del País Vasco.
- Celaya G.** (1978 6., 83. 108). „Iberia Sumergida“, Hiperion.

მიგელ დე უნამუნოს კოსმოპოლიტიზმი Cosmopolitanism of Miguel de Unamuno

ნინო ჯოხაძე
Nino Jokhadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
(რომანული ფილოლოგია - ესპანური ფილოლოგია)
Faculty of Humanities (Romance Philology - Spanish Philology)

საკვანძო სიტყვები: მიგელ დე უნამუნო, პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, უნივერსალიზმი

Keywords: Miguel de Unamuno, Patriotism, Cosmopolitanism, Universalism

მიგელ დე უნამუნო (1864-1936 წწ.) – მრავალმხრივი შემოქმედი, მწერალი, ფილოსოფოსი და დიდი ეროვნული მოღვაწე, პიროვნების ფილოსოფიის – „პერსონალიზმის“ მამამთავრადაა მიჩნეული. უნამუნო „1898-იანელთა თაობის“ გამორჩეული ლიდერი გახლდათ, რომელიც XIX-XX საუკუნეების გასაყარზე, სწორედ უნამუნოს ფრთიანი ფრავის – „მე მტკივა ესპანეთი“ („Me duele España“) – გარშემო ჩამოყალიბდა. თაობაში გაერთანებული ცნობილი ესპანელი მოღვაწეების მთავარი საზრუნავი ომის შემდეგ შესუსტებული და განადგურებული ესპანეთისა და ესპანელი საზოგადოების გადარჩენისათვის ბრძოლა იყო. თაობის წევრები განიხილავდნენ შექმნილ ვითარებას, აკრიტიკებდნენ ამ ვითარების გამომწვევ მიზეზებს და ასკვნიდნენ, რომ ეს მიზეზები საძიებელი იყო ქვეყნის წარსულში, მის ისტორიასა და ხალხის წიაღში.

მიგელ დე უნამუნოს შემოაქვს ტერმინი „ინტრაისტორია“ ანუ შინაგანი ისტორია, რაც წარმოადგენს ქვეშარით ეგზისტენციალურ არსებობას, ყოფიერებას, „გარეგანი ისტორიის ნაღვეს“. უნამუნოს მიხედვით, ადამიანებს სწორედ ინტრაისტორიის ელემენტები აერთიანებთ: ენა, რწმენა, სულიერი ცხოვრება, ტრადიციები, კულტურა და ა. შ. ინტრაისტორიის შეცნობა მხოლოდ ხალხის წიაღშია შესაძლებელი, მის ადათ-წესებში, წეს-ჩვეულებებში, რელიგიაში, საუკუნეების მანძილზე დადგენილ ტრადიციაში, ხალხურ შემოქმედებაში, ყველაფერში, რაც შემოუნახავს ხალხის სულს. უნამუნოს აზრით, ესპანეთის გადარჩენის გზა არა ბრმად გავეროპულება, არამედ საკუთარ ისტორიაში ძიება

იყო, იგი ხსნას დონ კიხოტეს პერსონაჟი ხედავდა, რომელიც იდეალისკენ მარადიულ სწრაფვას, სამართლიანობის, თავისუფლების რწმენას, საკუთარი „მე“-ს აღმოჩენას გულისხმობს. უნამუნო უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალობას, უნივერსალურობას, რაც კოსმოპოლიტიზმის მისეულ გაგებაში გამოიხატება. პიროვნების მიერ საკუთარი „მე“-ს გაცნობიერება უნამუნოს ქვეყნის გადარჩენის მთავარ გზად ესახებოდა. სიკვდილის ტრადიციულმა გააზრებამ, რაც დაკავშირებულია ესპანეთის ფოლკლორთან და შესაბამისად, უნამუნოსეულ ინტრაისტორიასთან, სათავე დაუდო უნამუნოს ეგზისტენციალიზმს. ქვეყნის არსებობის პრობლემა უნამუნოსთვის პიროვნების არსებობის პრობლემაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიგელ დე უნამუნოს ფილოსოფია დაკავშირებულია მის პატრიოტიზმთან და ქვეყნის გადარჩენის სურვილიდან გამომდინარეობს.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება კოსმოპოლიტიზმის მიგელ დე უნამუნოსეული კონცეფცია, „ვეროპეიზაციისა“ და „გავეროპულების“ მისეული გაგება. რას მიიჩნევს მწერალი ერთგვაროვანი კულტურის ჩამოყალიბების საფრთხედ, რაც პიროვნების ინდივიდუალობასა და უნივერსალიზმს თრგუნავს და რას „მაცოცხლებელ წვიმად“, რომელსაც ესპანეთის „ინტრა-ოდინდელი სულის გაღვიძება“ შეეძლო. ასევე, პარალელი იქნება გავლებული ვაჟა-ფშაველას მიერ გააზრებულ კოსმოპოლიტიზმთან და გამოიკვეთება საერთო ტენდენციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

რატინი, ი. (2018). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტიტინიძე, მ. (2011). ორი იბერიის ერთი პრობლემისათვის „ინტრაისტორია“ და „შიდა-ცხოვრების ისტორია“, ესეები, თბილისი: „სიესტა“

უნამუნო, მ. (2011). ესეები, თბილისი: „სიესტა“

უნამუნო, მ. (2019). ქრისტიანობის აგონია, თბილისი: „აქტი“

ფეიქრიშვილი, ს. (2005). უნამუნოს „პერსონალიზმი“ და პროტაგონისტის პრობლემა მის მხატვრულ პროზაში, თბილისი

ვაჟა-ფშაველა, (1905). კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/kosmopolitizmi_da_patriotizmi.htm

Maroco dos Santos, E. J. (2019). La Democracia, el Estado y el Patriotismo en Unamuno, Euphyía - Revista de Filosofía 12(22):53 https://www.researchgate.net/publication/332340829_La_Democracia_el_Estado_y_el_Patriotismo_en_Unamuno

Unamuno, M. (1905). La crisis actual del patriotismo español. https://gredos.usal.es/bitstream/handle/10366/80540/CMU_2-63.pdf?sequence=1&isAllowed=y

Miguel de Unamuno (1864-1936) – versatile creator, writer, philosopher and great national figure, is considered the father of the philosophy of personality - “Personalism”. Unamuno was an outstanding leader of the “Generation of 1898”, which was formed at the turn of the XIX and XX centuries, precisely around Unamuno’s catchphrase “Spain hurts me” (Me duele España). The main concern of the famous Spanish figures united in the generation was the fight for the survival of the weakened and destroyed Spain and the Spanish society after the war. The members of the generation discussed the created situation, criticized the causes of this situation and concluded that these causes were to be found in the country’s past, its history and in the heart of the people.

Miguel de Unamuno introduces the term of “Intrahistory” or inner history, which represents true existential being, “the sediment of external history”. According to Unamuno, people are united by elements of intrahistory: language, faith, spiritual life, traditions, culture, etc. Intrahistory can be found only in the bosom of the people. In its customs, religion, tradition established over centuries, folklore, in everything that preserves the soul of the people. According to Unamuno, the way to save Spain was not to Europeanize blindly, but to search in the country’s own history. He saw salvation in the character of Don Quijote, which implies an eternal pursuit of the ideal, belief in justice, freedom and discovery of one’s own personality. Unamuno gives an advantage of individuality, universality, which is expressed in his understanding of cosmopolitanism. A person’s awareness of his own “I” was considered by him the main way to save his country. The traditional understanding of death, related to Spanish folklore and thus to Unamuno’s intrahistory, gave rise to Unamuno’s existentialism. The problem of the existence of the country turned into the problem of the existence of a person for Unamuno. Therefore, it can be said that the philosophy of Miguel de Unamuno is related to his patriotism and stems from his desire to save the country.

In the report will be presented Miguel de Unamuno’s concept of cosmopolitanism, his understanding of “Europeanization” and “Become Europeans”. What does the writer consider to be danger to the formation of a homogeneous culture, which suppresses the individuality of the person and universalism, and what is a “reviving rain” that could “awaken the intra-ancient spirit” of Spain. A parallel will also be drawn with the cosmopolitanism understood by Vazha-Pshavela and will be highlighted common tendencies.

References:

Maroco dos Santos, E. J. (2019). La Democracia, el Estado y el Patriotismo en Unamuno, *Euphyia - Revista de Filosofía* 12(22):53 https://www.researchgate.net/publication/332340829_La_Democracia_el_Estado_y_el_Patriotismo_en_Unamuno

Peykrishvili, S. (2005). Unamuno’s “Personalism” and the problem of the protagonist in his artistic prose, Tbilisi

Vaja-Pshavela (1905). Cosmopolitanism and Patriotism, http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/kosmopolitizmi_da_patriotizmi.htm

Ratiani, I. (2018). Georgian Literature and the World Literary Process, Tbilisi: Tbilisi Uni-

versity Press

Titvinidze, M. (2011). "Intrahistory" and "History of inner life" - for one Iberian problem, Essays, Tbilisi: "Siesta"

Unamuno, M. (2011). Essays, Tbilisi: "Siesta"

Unamuno, M. (1905). La crisis actual del patriotismo español. https://gredos.usal.es/bitstream/handle/10366/80540/CMU_2-63.pdf?sequence=1&isAllowed=y

Unamuno, M. (2019). The Agony of Christianity, Tbilisi: "Akti"

